

**პერსონალური მონაცემების
დაცვის განაცხადი**

კომპანიის სახელწოდება: შპს სერვისბოქსი
საიდენტიფიკაციო კოდი: 405113176
მისამართი: თბილისი, ი.გაგარინის 24 სართ.4
ვებგვერდი: <https://mar.tv/>

პერსონალური მონაცემების დაცვის განაცხადის გავრცელების ფარგლები

წინამდებარე განაცხადი ვრცელდება:

- კომპანიის ფიზიკურ პირ მომხმარებლებზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმე მომხმარებლებზე), რომლებიც სარგებლობენ ჩვენი ძირითადი და დამატებითი მომსახურებებითა და პროდუქტებით;
- ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიულ პირ მომხმარებლებთან შრომის/მომსახურების ან სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულ იმ ფიზიკურ პირ(ებ)ზე, რომლებიც კომპანიასა და შესაბამის მომხმარებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობენ ჩვენი მომსახურებ(ებ)ით, აგრეთვე იმ სხვა ფიზიკურ პირებზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ ჩვენი მომსახურებ(ებ)ით;
- იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არ არიან ჩვენი მომხმარებლები, არ იმყოფებიან ჩვენთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, თუმცა მოგვმართავენ ჩვენი მომსახურების შეძენის და/ან ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით, ან წარმოადგენენ ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი მომხმარებლის საკონტაქტო პირს; შემოდიან ჩვენს ვებ-გვერდზე, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით შემოდიან ჩვენთან კომუნიკაციაში ან და/ან მონაწილეობას იღებენ ჩვენს გამოკითხვებში, აქციაში, გათამაშებაში.
- თუ თქვენ სარგებლობთ/გეგმავთ ისარგებლოთ ჩვენი ერთი ან რამდენიმე მომსახურებით, იგულისხმება, რომ თქვენ გაეცანით და იზიარებთ წინამდებარე განაცხადის პირობებს.
- ვინაიდან ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციის ყველა იმ პირის შესახებ, რომლებიც შესაძლოა სარგებლობდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით - ე.წ „მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი“ (მაგალითად მომხმარებლის ოჯახის წევრი ან თანამშრომელი), თქვენ, როგორც ჩვენს აბონენტს/ხელშემკვერელ მხარეს, გთხოვთ, თქვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ასეთ პირებს მიაწოდოთ ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების, წინამდებარე განაცხადისა და მისი გაცნობის გზების თაობაზე.

!!! წინამდებარე განაცხადი არ ვრცელდება სხვა პირების მიერ თქვენთვის მოწოდებულ მომსახურებებზე ან/და ვებ-გვერდებზე, რომელზეც წვდომა გაქვთ ჩენი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით; ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი სხვა პირების მიერ თქვენთვის მოწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებულ პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებზე.

განაცხადის მიზნები

წინამდებარე განაცხადის მიზანია:

- განვიმარტოთ სამართლებრივი საფუძვლები, მიზნები და პრინციპები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას;
- გაგაცნოთ, როგორ ვაგროვებთ და რა სახის მონაცემებს ვამუშავებთ თქვენ შესახებ;
- გაცნობოთ, როგორ ვიცავთ თქვენ პერსონალურ მონაცემებს;
- მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ.

!!! ჩვენ ვახორციელებთ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ნორმების, ასევე წინამდებარე განაცხადში მოცემული და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები და გარანტიები

- მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეუღახავად;
- მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის;
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევაც ისინი მუშავდება;
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;
- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება/შენახვა განსაზღვრულია კანონმდებლობით და წარმოადგენს პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;
- მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან /და დაზიანებისგან;

!!! ჩვენ ვაცხადებთ, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას განახორციელებს კანონიერი, წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული საფუძვლების, მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის გარანტიები

ჩვენ გვყავს სპეციალური უსაფრთხოების ჯგუფი, რომელიც მუდმივად მუშაობს უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებაზე, რათა დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები არაავტორიზებული ან არაკანონიერი წვდომისაგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, გამჟღავნებისგან ან განადგურებისგან.

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკებისა და პროცედურების საფუძველზე ჩვენ დანერგილი გვაქვს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომელთა ეფექტურობის პერიოდული შეფასება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტის ფარგლებში.

პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები და მიზნები

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული კანონიერი საფუძვლით, კერძოდ:

- ჩვენ შორის დადებული გარიგებით/ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების და/ან თქვენი მოთხოვნის/განცხადების განხილვის საფუძვლით;
- ჩვენი კანონიერი/ლეგიტიმური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საფუძვლით;

- ჩვენზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საფუძველით;
- თქვენი თანხმობით.

ზემოთ მოცემული საფუძველებით, თქვენი მონაცემები შესაძლოა დავამუშაოთ შემდეგი ერთი ან რამდენიმე კანონიერი მიზნით:

- თქვენ მიერ შეძენილი/არჩეული/მისაღები მომსახურებ(ებ)ის თქვენთვის მოწოდების მიზნით;
- ანგარიშის/მომსახურების მართვის, მათ შორის, დისტანციური მართვის სერვისის გაწევის მიზნით;
- თქვენთან ანგარიშსწორების განხორციელების, მათ შორის, თქვენთვის მომსახურების ანგარიშისა და დეტალური ამონაწერის მოწოდების მიზნით;
- თქვენ მიერ შეძენილი მომსახურებ(ებ)ის თაობაზე თქვენთვის ინფორმაციის მოწოდების მიზნით, მათ შორის, (I) თქვენი ბალანსის ან შეძენილი მომსახურების მოცულობის მოსალოდნელი ამოწურვის, (II) თქვენი დავალიანების და გადახდის ვადის (III) მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის/შეწყვეტის (IV) დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების ან (V) მომსახურების პირობების/ ტარიფების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით;
- თქვენი მოთხოვნის, საჩივრის/პრეტენზიის განხილვის, თქვენთვის ტექნიკური დახმარების გაწევის, დაზიანების ან ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიზნით;
- მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის ჩვენი მომსახურების/პროდუქტებისა და ქსელის ფუნქციონირების ტესტირების, გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის;
- ჩვენს ქსელში განხორციელებული თაღლითური ქმედების, ფროდის ან/და კიბერ შეტევის ინციდენტების მონიტორინგის, პრევენციის, იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის/შეჩერების მიზნით; ჩვენი ქსელის ერთიანობის უზრუნველყოფის, მათ შორის, ტექნიკური ხარვეზების აღმოჩენის, ტრაფიკის მართვის და/ან ჩვენი საკომუნიკაციო ქსელების, მომსახურებისა და მონაცემთა სისტემების ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ტესტირების მიზნებისთვის;
- თქვენი გადახდისუნარიანობის/კრედიტუნარიანობის გადამოწმების და დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით;
- აგრეგირებული და დეპერსონალიზებული მონაცემების ფორმირების მიზნით, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ (I) ჩვენი მომსახურებისა და პროდუქტების ანალიზისა და შემდგომი განვითარებისათვის, (II) ახალი მომსახურებების/პროდუქტების შესამუშავებლად, ისევე როგორც (II) მენეჯერული, შიდა კორპორატიული და სხვა პირებისათვის მისაწოდებელი ანგარიშების შესამუშავებლად; (ამგვარი აგრეგირებული და დეპერსონალიზებული ფორმით შენახული მონაცემები არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს, რადგან გამორიცხავს პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებას);
- პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, კერძოდ, ჩვენი მომსახურებების, ასევე ჩვენი პარტნიორი კომპანიების პროდუქტების/ერთობლივი პროდუქტების თაობაზე (რომელზეც თქვენ წვდომა გაქვთ ჩვენი შეთავაზების ფარგლებში) თქვენთვის ინფორმაციის/შეტყობინების მოწოდების მიზნით;
- გაწეული მომსახურებების თაობაზე თქვენი ინტერესების ანალიზის, თქვენი პროფაილინგის და თქვენზე მორგებული პერსონალიზებული პროდუქტების შემუშავების მიზნით;
- გაწეული მომსახურებების თაობაზე გამოკითხვებისა და კვლევების ჩატარების მიზნით;
- პერსონალური მონაცემების გაცემასთან, შესწორებასთან, დამუშავებასთან, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტასთან დაკავშირებით, თქვენი მოთხოვნების აღრიცხვისა და შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;
- დამატებით თქვენი თანხმობის საფუძველზე, ჩვენ შესაძლოა თქვენი მონაცემები დავამუშაოთ ყველა იმ სხვა მიზნისთვის, რომელზეც თქვენ თანხმობა განაცხადეთ.

პერსონალური მონაცემების მოპოვების წყაროები და მონაცემები, რომელსაც ვამუშავებთ

პერსონალური მონაცემების მოპოვება ხორციელდება კომპანიისათვის თქვენ მიერ მოწოდებული და ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე წყაროდან.

თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ, როდესაც თქვენ:

- სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოგვმართავთ ჩვენ ან ჩვენს უფლებამოსილ (მათ შორის სააგენტო და სადილერო ქსელის) წარმომადგენელს ჩვენი მომსახურების შექმნის და/ან ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით, ახორციელებთ ვიზიტს ჩვენი მომსახურების ცენტრში (ფილიალში) ან გადიხართ იდენტიფიცირების პროცესს, მათ შორის, ჩვენი ონლაინ/დისტანციური პლატფორმ(ებ)ის საშუალებით;
შემოდინხართ და ათვალიერებთ ჩვენ ვებ-გვერდს (ჩვენი ვებ-გვერდის მონიტორინგსა და თქვენი მონაცემების მოგროვებას ვახორციელებთ ე.წ. „მზა ჩანაწერების“ (cookies-ის) საშუალებით; [დანართი 1](#)
- მონაწილეობას იღებთ ჩვენს გამოკითხვაში, აქციაში, გათამამებაში და/ან სხვა ფორმით შემოდინხართ ჩვენთან კომუნიკაციაში;
- დებთ ჩვენთან ხელშეკრულებას, სარგებლობთ ჩვენი ერთი ან რამდენიმე მომსახურებით, მათ შორის, ახორციელებთ მომსახურების ცვლილებას, დამატებას ან გაუქმებას;
- რეგისტრირდებით და სარგებლობთ ჩვენი რომელიმე აპლიკაციით, მომსახურების პორტალით, იყენებთ ცხელ ხაზს და ონლაინ საკონსულტაციო ფუნქციონალს (ონლაინ ჩეთს) ან გვიგზავნით წერილს ფოსტით ან ელ. ფოსტით;
- მოგვმართავთ საჩივრით/პრეტენზიით, მათ შორის, დაზიანების აღმოფხვრის, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ან/და ნებისმიერი სხვა ხარვეზის გასწორების მოთხოვნით;
- მოგვმართავთ პერსონალური მონაცემების გაცემის, გასწორების, წაშლის ან დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნით.

!!! თქვენი პერსონალური მონაცემები, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ასევე შესაძლოა მოვიპოვოთ ჩვენი პარტნიორი კომპანიებისაგან, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობთ (მაგალითად, ურთიერთჩართული კომპანიები) და/ან ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორცაა საჯარო რეესტრი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სხვა ფინანსური ინსტიტუტები და საჯარო ორგანიზაციები.

მონაცემები, რომელსაც ვამუშავებთ

პერსონალური მონაცემების კატეგორიები და დამუშავების მოცულობა დამოკიდებულია თქვენს მიერ შექმნილ/მიღებულ მომსახურებებზე, ჩვენთან განხორციელებული კომუნიკაციის ფორმაზე, თქვენს მოთხოვნაზე და თქვენს სტატუსზე (ხელშემკვრელი პირი/ მომსახურებ(ებ)ით მოსარგებლე ფიზიკური პირი).

წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული საფუძვლებით და მიზნებისთვის შესაძლოა დამუშავდეს შემდეგი მონაცემები:

- თქვენი საიდენტიფიკაციო და უფლებამოსილების დამადასტურებელი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი/საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ასაკი, დაბადების თარიღი და სქესი; პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი და/ან ონლაინ იდენტიფიცირების ფარგლებში მიღებული ბიომეტრიული მონაცემები; ასევე ინფორმაცია თქვენი სამუშაო ადგილისა და დაკავებული პოზიციის შესახებ და/ან უფლებამოსილების დამადასტურებელი მონაცემები;
- მონაცემები თქვენ მიერ მიღებული მომსახურებ(ებ)ის შესახებ, მათ შორის, მონაცემები მომსახურების დამატების, გაუქმების ან ცვლილების თაობაზე;
- ტრაფიკის მონაცემები და საბილინგო მონაცემები, მათ შორის, თქვენთვის განკუთვნილი და თქვენ მიერ წამოწყებული ხმოვანი, მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ინტერნეტ ტრაფიკის ჩვენსა და სხვა ურთიერთჩართულ (ლოკალურ და საერთაშორისო) ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში გადაცემა/გადამისამართებისათვის საჭირო მონაცემები; მონაცემები თქვენი ტერმინალური

მოწყობილობის იდენტიფიკატორის, ინტერნეტ მისამართის ან/და ადგილმდებარეობის/გეოლოკაციის თაობაზე; მიღებული მომსახურების თაობაზე მონაცემები (განხორციელებული/მიღებული მომსახურების მოცულობა/ხანგრძლივობა, თარიღი და დრო)(ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები);

- მომსახურებისათვის დარიცხული საფასური, მომსახურების შეძენის ან ანგარიშის გადახდის თარიღი, დრო და ფორმა ასევე, თქვენი დავალიანების, გადაუხდელი ანგარიშ(ებ)ისა და დეპოზიტ(ებ)ის შესახებ მონაცემები;
- თქვენი გადამხდელუნარიანობის/კრედიტუნარიანობის თაობაზე მონაცემები და ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია საკრედიტო/სადებეტო ბარათისა ან/და საბანკო ანგარიშის თაობაზე;
- მონაცემები ჩვენი ვებ-გვერდით, მობილური აპლიკაცი(ებ)ით, ცხელი ხაზით და ონლაინ მომსახურების პორტალით სარგებლობის თაობაზე, ასევე, ინფორმაცია თქვენი სარეგისტრაციო მონაცემების (მომხმარებლის სახელი და პაროლი), პერსონალური კოდის, ერთჯერადი კოდის/პინ კოდის შესახებ და მათი გამოყენების თაობაზე;
- მომსახურებასთან დაკავშირებით, თქვენ მიერ განხორციელებული კომუნიკაციის მონაცემები, მათ შორის, ელ-ფოსტით/ფოსტით/ონლაინ საკონსულტაციო (ონლაინ ჩეთის) პროგრამით შემოსული წერილობითი ინფორმაცია, ქოლ-ცენტრში შემოსული ზარების აუდიო ჩანაწერი და/ან ჩვენი მომსახურების ცენტრში თქვენი ვიზიტის ვიდეო ჩანაწერი;
- თქვენთვის მოწოდებული მომსახურების ხარისხის თაობაზე მონაცემები და დაზიანებების დეტალური სტატისტიკა;
- თაღლითურ ქმედებებთან/ფროდთან და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევასთან დაკავშირებული მონაცემები;
- ჩვენი და ჩვენი პარტნიორი კომპანიების (რომელთა მომსახურებაზეც თქვენ წვდომა გაქვთ ჩვენი შეთავაზების/ერთობლივი შეთავაზების ფარგლებში) მომსახურებით/პროდუქტებით სარგებლობისა და თქვენი ინტერესების თაობაზე მონაცემები, ასევე ინფორმაცია ჩვენი და/ან ჩვენი პარტნიორი კომპანიების მომსახურებების/პროდუქტების თაობაზე მიღებული მარკეტინგული შეთავაზებებისა და შეტყობინებების შესახებ;
- თქვენი მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, სეგმენტის /კატეგორიის და პროფილის შესახებ.
- თქვენი პერსონალური მონაცემების გასწორების, წაშლის, გაცემის, დამუშავებაზე თანხმობის ან დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია;
- ნებისმიერი ის სხვა მონაცემი, რომლის დამუშავებაზეც თქვენ თანხმობა განაცხადეთ და/ან რომლის დამუშავების ვალდებულებაც გვეკისრება კანონმდებლობით.

არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემები

კომპანია ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ სრულწლოვან, ე.ი. 18 წელს მიღწეულ მომხმარებელთან ან არადისტანციურად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, ასევე, 16 წელს მიღწეულ მომხმარებელთან, მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ამასთან, ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი მომსახურებ(ებ)ით მოსარგებლე ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ისეთი არასრულწლოვანიც, რომლის ნაცვლად და სახელითაც ხელშეკრულებას დებს სრულწლოვანი მომხმარებელი/აბონენტი. შესაბამისად, თუკი საბოლოო მომხმარებელს წარმოადგენს არასრულწლოვანი, მომსახურების გაწევის მიზნით, ვამუშავებთ მონაცემებს წინამდებარე განაცხადის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოგვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი არის არასრულწლოვანი, ჩვენ მივიღებთ შესაბამის ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

პერსონალური მონაცემების გაზიარება

ჩვენ შესაძლოა გავუზიაროთ თქვენი მონაცემები:

- ჩვენს პარტნიორ კომპანიებს, რომელთა მომსახურებითაც თქვენ სარგებლობთ/ისარგებლეთ ჩვენი შეთავაზების ფარგლებში (მაგალითად, ჩვენთან ურთიერთჩართული კომპანიები);
- კომპანიის უფლებამოსილ პირებს/(ქვე)კონტრაქტორებს, რომლებიც სხვადასხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სახელით/ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენი დავალების საფუძველზე. ჩვენს (ქვე)კონტრაქტორებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ მონაცემები სხვა მიზნით, გარდა ჩვენ შორის შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და/ან გაამჟღავნონ მათთვის ხელმისაწვდომი მონაცემები. რიგ შემთხვევებში ჩვენ შესაძლოა თქვენი მონაცემები გავუზიაროთ ისეთ უფლებამოსილ პირებს/ (ქვე)კონტრაქტორებს, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის იმ ქვეყნებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანებაში, რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს მქონე ქვეყნების ნუსხას. (ქვე)კონტრაქტორების მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მონაცემების დამუშავება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში, მათ შორის წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- შესაბამის მხარეს/პირს კომპანიის შერწყმის და/ან წილის შექმნის შემთხვევაში;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაბამის უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოებს და/ან სახელმწიფო უწყებებს;
- სხვა სხვა პირებს, თქვენი თანხმობის შემთხვევაში.

!!! ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პერსონალური მონაცემების გაზიარება მოხდება მხოლოდ იმ მინიმალური მასშტაბით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად და/ან რაც გათვალისწინებულია/სავალდებულოა კანონმდებლობით.

პირდაპირი მარკეტინგი

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩვენ თქვენს მონაცემებს ვამუშავებთ თქვენი თანხმობისა და ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების უზრუნველყოფის საფუძველზე.

პირდაპირ მარკეტინგს აქვს ადგილი, როდესაც თქვენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სატელეფონო ნომერზე/ნომრებზე და/ან თქვენს მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო ზარის და/ან ვიდეო/აუდიო/გამოსახულებითი შეტყობინებით), ასევე სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით (ელ-ფოსტა, ონლაინ პლატფორმა, ვებგვერდი, აპლიკაცია, TV ამონაბეჭადი ან სხვა) იღებთ ინფორმაციას ჩვენი ან/და ჩვენი და ჩვენი პარტნიორი კომპანიების ერთობლივი პროდუქტების, მომსახურებების, ფასდაკლებების, აქციების, გათამაშებების, პრიზების, თქვენზე მორგებული, პერსონალიზებული პროდუქტების/სერვისების და სხვა სიახლეების შესახებ. თუ თქვენ უარს განაცხადებთ კომპანიის პროდუქტების პირდაპირ მარკეტინგზე, თქვენ ვერ მიიღებთ ინფორმაციას ფასდაკლებების, აქციების, შემოთავაზებების ან სხვა სიახლეების შესახებ და ვერ ისარგებლებთ თქვენზე მორგებული პროდუქტებით/მომსახურებებით ან ფასდაკლებებით.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩვენ შესაძლოა დავამუშავოთ შემდეგი მონაცემები: თქვენი საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები, თქვენს მიერ სერვისბოქსისთვის მოწოდებული, მომსახურების გაწევის შედეგად კომპანიისთვის ხელმისაწვდომი (მათ შორის ლოკაციის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები) ან/და ამგვარი ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია თქვენი პროფილის/სეგმენტის შესახებ.

თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე, მოგვთხოვთ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემების დამუშავებისა (მათ შორის პროფაილინგის) და მარკეტინგული შეტყობინებების გამოგზავნის შეწყვეტა (გაითხოვთ თქვენი თანხმობა), როგორც ქვემოთ მოცემული კომუნიკაციების ფორმებით (იხ. **როგორ დაგვიკავშირდეთ**), აგრეთვე იმავე ფორმით, რა ფორმითაც კომპანია ახორციელებს მარკეტინგული შეტყობინების გამოგზავნას; მაგალითად, მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) მარკეტინგული შეტყობინების მიღებისას, თქვენ შეგიძლიათ თანდართულ SMS ნომერზე გამოგზავნოთ მარკეტინგული შეტყობინების მიღების შეწყვეტის მოთხოვნა.

!!! ჩვენ ვალდებული ვართ შევწყვიტოთ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით თქვენი მონაცემების დამუშავება თქვენი შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

პერსონალურ მონაცემებს ვინახავთ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად და/ან განსაზღვრულია კანონმდებლობით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენს საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, აპარატურის/მოწყობილობის მონაცემებსა და მომსახურების გაწევის/მოწოდების თაობაზე მონაცემებს ვინახავთ მთელი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში და სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტიდან/დასრულებიდან არაუმეტეს 4 წლის ვადით, ხოლო გადახდების შესახებ ინფორმაციას, ისევე როგორც მიღებული ან გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციას - მომსახურების გაწევიდან/კომუნიკაციის განხორციელებიდან არაუმეტეს 4 წლის განმავლობაში;

მონაცემების შენახვისთვის გათვალისწინებული ვადების ამოწურვისთანავე, მაგრამ არაუმეტეს 15 დღის განმავლობაში უზრუნველყოფთ ამ მონაცემების წაშლას ან განადგურებას.

თქვენი უფლებები

თქვენ უფლება გაქვთ:

- გამოითხოვთ ინფორმაცია იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება თქვენს შესახებ;
- გაეცნოთ და მიიღოთ იმ მონაცემების ასლები, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ თქვენ შესახებ;
- მოგვთხოვთ თქვენ შესახებ არსებული მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი;
- მოითხოვთ თქვენი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;
- სტრუქტურულად, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოთ თქვენს მიერ მოწოდებული მონაცემები ან მოითხოვთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა
- ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე;
- მიიღოთ ინფორმაცია მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის იმგვარი ინციდენტის შესახებ, რომელიც მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

!!! თქვენ უფლება გაქვთ, ამ თავით გათვალისწინებული ინფორმაცია მიიღოთ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ გეცნობებათ.

მონაცემთა გამოყენების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება

თქვენ უფლება გაქვთ, მოგვთხოვოთ თქვენს შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, მონაცემების წაშლა ან განადგურება.

თქვენი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) ჩვენ შევწყვეტთ თქვენი მონაცემების დამუშავებას ან/და წავშლით ან გავანადგურებთ თქვენს მონაცემებს.

ჩვენ შესაძლოა უარი გითხრათ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ არსებობს მონაცემების დამუშავების სხვა საფუძველი, მაგ: მონაცემთა შენახვის ვალდებულება გათვალისწინებულია კანონით და/ან მონაცემების შენახვა საჭიროა იმ მიზნის მისაღწევად, რომლისთვისაც განხორციელდა მონაცემთა შეგროვება, მათ შორის, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად. უარის შემთხვევაში თქვენ განგემარტებათ უარის თქმის საფუძველი და ასევე გეცნობებათ აღნიშნული უარის გასაჩივრების წესი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ მოითხოვთ ისეთი მონაცემების დამუშავების შეწყვეტას, რომელიც აუცილებელია თქვენთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მოწოდებისათვის, ჩვენ ვეღარ შევძლებთ თქვენთვის შესაბამისი მომსახურების გაწევას.

მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

როგორ დაგვიკავშირდეთ

წინამდებარე განაცხადთან, თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის და/ან მოთხოვნის დაფიქსირების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით:

- ეწვიეთ ჩვენს მომსახურების ცენტრ(ებ)ს სამუშაო საათებში.
- დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე 24 საათის განმავლობაში 032 2 155 555
- გამოგვიგზავნეთ ელექტრონული წერილი ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: info@servicebox.ge ან info@dpo.ge

კომპანია ვალდებულია თქვენი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები და მონაცემთა გასწორებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ გაცნობოთ ან გაცნობოთ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.